

„გამტკიცება”

საქართველოს ძალის ეროვნული



28 თებერვალი 2022 წ.

დ გ ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში
(გაუები)

2022 წელი
19-20 მარტი
გორი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ჭაბუქთა (გაუები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და გორის მუნიციპალიტეტთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2002-2004 წლებში დაბადებული ძიუდოისტები, რომელთაც 5-6 მარტს გამართულ შესარჩევ ტურნირში მოიაღვეს ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია.

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება გორში აწონგის დროს.
- შეჯიბრება ჩატარდება 2022 წლის 19-20 მარტს ქ. გორში, ახალ სპორტის სასახლეში, ჭალის დასახლება, თამარ მეფის 5/12.
- ჩამოსვლის დღე – 18 მარტი, წასვლის დღე – 21 მარტი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00 საათი.

რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით

- ჩემპიონატში მონაწილე ყველა პირი (ძიუდოისტები, მწვრთნელები) ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო 24 საათში გაეცემდებული სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ძიუდოისტები ტესტის პასუხებს წარმოადგენენ აწონგაზე.
- ჩემპიონატის მიმდინარეობისას დარბაზში ყველა პირი ვალდებულია ატაროს პირბადე. ძიუდოისტებს პირბადის მოხსნა შეუძლიათ ტატამზე შესვლის წინ.
- ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან მაყურებლები.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში:
 - 60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, -100კგ, +100კგ.
 - 19 მარტი: -60კგ, -66კგ; -73კგ;
 - 20 მარტი: -81კგ, -90კგ, -100კგ, +100კგ.

VI. აწონვა

18 მარტი

გორი, ჭალის დასახლება, თამარ მეფის 5/12, ახალი სპორტის სასახლე.

თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.

კენჭისყრა ჩატარდება გორში.

-60კგ, -66კგ; -73კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

19 მარტი

გორი, ჭალის დასახლება, თამარ მეფის 5/12, ახალი სპორტის სასახლე.

-73კგ; -81კგ; -90კგ; +90კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი სარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ლამისთვევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპროცესონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და გორის მუნიციპალიტეტთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 0322516466;

საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 568719720 გიორგი ქოთოლაშვილი.

P.S.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის საგალდებულოა თეთრი და ლურჯი ფერის კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო აღგილისა, მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი